

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

თბილისი, 2016 წლის ოქტომბერი

ცოდნის მიღებისა და საინფორმაციო სისტემების ბანკითარების გზით მცირე ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ბაზრის მისაწვდომობის გაუმჯობესება



სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი

პუბლიკაცია მომზადებულია სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრის პროექტის – „ასოციირების შეთანხმების დღის წესრიგისა და სამოქმედო გეგმის ხუთი სფეროს სამოქალაქო მონიტორინგი“ – ფარგლებში.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2015 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის ოქტომბრამდე.

პოლიტიკის დოკუმენტი

წინასიტყვაობა

ავტორი:

მიხეილ პაკაცოშვილი*

ბიოლოგიურ მეურნეობათა

ასოციაცია „ელკანა“

რედაქტორი:

ნესტან ჩხიკვაძე



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი დაფინანსებულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მიერ. ტექსტისა და კომენტარების ავტორების მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განაცხადები მხოლოდ მათ ეკუთვნით და არ გამოხატავს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“ მოსაზრებებს. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

საქართველოში სოფლის მეურნეობა დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ამ სფეროში მომუშავედ ითვლება ქვეყნის სამუშაო ძალის 52%, რომლის 98% თვითდასაქმებულია¹. მეურნეთა უმრავლესობა მცირემინიანი ფერმერია და საშუალოდ 1,2 ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობს². მათს უმრავლესობას (77.1%) სარგებლობაში ერთ ჰექტარზე ნაკლები მიწა აქვს. შინამეურნეობებისა და კოოპერატივების უმრავლესობისათვის მოსავლის გაყიდვა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამასთან საქართველოში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა საკმაოდ მცირეა, მოწეული პროდუქციის ხარისხი კი – დაბალი და ბაზრის მოთხოვნებისათვის შეუსაბამო. ამის გამომწვევ მიზეზად, სხვა მიზეზებთან ერთად, მოძველებული და/ან არასაკმარისი ცოდნა და ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდომობა სახელდება, რაც საქართველოს ფერმერთა II კონგრესზეც დაფიქსირდა³. ამიტომ ფერმერებისთვის მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე აგროტექნოლოგიების, ისე ბაზრის შესახებ ცოდნის გაღრმავება. ასეთი ცოდნა დაეხმარება მათ, გაზარდონ მოსავლიანობა და პროდუქტი უკეთეს ფასად გაყიდონ.

ფერმერთა და კოოპერატივების ცოდნისა და ინფორმირების ეფექტური სისტემების განვითარების საკითხი ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოციირების⁴ და ამ შეთანხმების განხორციელების 2016 წლის ეროვნულ-

* მიხეილ პაკაცოშვილი 2014 წლიდან ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ პროექტის მენეჯერია. ამჟამად იგი კახეთისა და იმერეთის რეგიონებში ტურიზმის სფეროში ჩართული ღარიბი თემების და მენარმეების ხელშეწყობის პროექტს ხელმძღვანელობს. მას გააჩნია სამართლის მაგისტრის ხარისხი რიგის სამართლის სკოლიდან.

ლი სამოქმედო გეგმის ნაწილიც არის⁵. ამ უკანასკნელის თანახმად, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, კონსულტაციებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. გეგმის 162.9 პუნქტი ითვალისწინებს ექსტენციის⁶ პროგრამის განხორციელებას და კონსულტაციებსა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ადამიანების ცნობიერების გაზრდას. ამ აქტივობების საშუალებით გათვალისწინებულია რეკომენდაციების შემუშავება, ბროშურების გამოცემა და საგანმანათლებლო აქტივობები.

ფერმერულ მეურნეობებსა და კოოპერატივებში ცოდნის და ინფორმაციის გადასაცემად სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ტერიტორიული ორგანოები – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები⁷. საქართველოს მასშტაბით 60 ასეთი სამსახური მოქმედებს. მათგან 54 საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სურსათის დეპარტამენტის, ხოლო ექვსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. სხვა ფუნქციებთან ერთად სამსახურების უფლებამოსილებებში შედის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე, წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია, სხვადასხვა ტრენინგის, სწავლებისა და საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზება⁸.

ექსტენციაზე ხელმისაწვდომობას, ასევე, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი⁹. სხვა ფუნქციებთან ერთად ცენტრი პასუხისმგებელია ელექტრონული საინფორმაციო ბანკის შექმნაზე, ცოდნის გავრცელების პროგრამის ფარგლებში რეგიონული ექსტენციის განვითარებასა და ხელშეწყობაზე. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ცოდნის გადაცემა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის სფეროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამიტომაც ეს საკითხი ასახულია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში, რომლის მიხედვით ფერმერების უმეტესობა ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიებს. ამ პრობლემების გადასაჭრელად კი სამინისტრო ფერმერებისა და სოფლად დასაქმებულთა უნარებისა და შესაძლებლობების ამაღლებას ისახავს მიზნად.

ანალიზი

ინფორმაციისა და ცოდნის ფართოდ გასავრცელებლად სათანადო რესურსებია საჭირო. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და ხარჯები, ძირითადად, მიმართულია თანამშრომელთა ხელფასების, საოფისე და საკანცელარიო ხარჯებზე. სამსახურების წლიური ბიუჯეტი 2016 წელს 4 მილიონი ლარი იყო¹⁰. ექსტენციის მასალების შედგენის ან ტრენინგების ჩასატარებლად საჭირო თანხები

¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის 2015-2020 წლების განვითარების სტრატეგია, გვ. 15.

² სასოფლო-სამეურნეო აღწერა, საქსტატი, 2014 წელი.

³ საქართველოს ფერმერთა II კონგრესის დეკლარაცია. კონგრესი 2016 წელს გაიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფა და მცირე ფერმერების მხარდაჭერა“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებენ საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამი“ და მისი პარტნიორი ორგანიზაცია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“. ლონისძიების თანადამფინანსებელია გერმანული ორგანიზაცია „Brot für die Welt“.

⁴ ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, მუხლი 333.

⁵ ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის N382 განკარგულება, პარაგრაფი 162.9.

⁶ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ექსტენციის განმარტავს, როგორც „არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მოიცავს ფერმერთათვის შესაბამისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდებას, რაც გამიზნულია მათი წარმოების, მოცულობისა და კონკურენტუნარიანობის, ასევე, მათი ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისთვის“.

⁷ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 თებერვლის N2-63 ბრძანება.

⁸ Ibid, მუხლი 2.

⁹ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის N162 დადგენილება.

¹⁰ ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროს შალვა კერესელიძესთან. 2016 წლის 12 სექტემბერი.

ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის¹¹. სამსახურებს ფერმერებთან ან კოოპერატივებთან ხელშეკრულების გაფორმებისა და მომსახურების გაყიდვით შემოსავლის მიღების უფლება არ აქვთ. შესაბამისად, სამსახურები მხოლოდ დონორების ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ შემუშავებული საინფორმაციო მასალებს ავრცელებენ, მაგრამ მათს შინაარსს ვერ განსაზღვრავენ.

თითოეული სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ზომაზე და ოთხსა და ექვსს შორის მერყეობს. სულ სამსახურებში 247 თანამშრომელია დასაქმებული, რაც დაახლოებით 15 სხვადასხვა სპეციალობაზე (ვეტერინარი, აგრონომი, ბიოლოგი, ტექნიკური პერსონალი) ნაწილდება¹². სპეციალობები თითოეული მუნიციპალიტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით შეირჩა, ანუ ფერმერების რაოდენობის, მიწის ფართობის, პოტენციალის გათვალისწინებით. სამსახურების ოფისები მუნიციპალურ და რეგიონულ ცენტრებშია განლაგებული. პოტენციური მოსარგებლებისა და სამსახურების ადგილმდებარეობის გამო ზოგჯერ ინფორმაციის შეგროვება ან/და გავრცელება დაშორებულ სოფლებში სირთულეს წარმოადგენს. სტატისტიკის თანახმად, თითო სამსახური ყოველწლიურად საშუალოდ 1074 ადამიანს (თვეში 90-ს) აწვდის ინფორმაციას¹³. 60-70% შემთხვევებში ინფორმაცია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამას ეხება, როგორებიცაა, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერები, კოოპერატივების ხელშეწყობა, იაფი კრედიტი და ა.შ. რაც შეეხება დარგობრივ საკითხებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული პროდუქტის პირველად წარმოებასთან, გადამუშავებასთან, სურსათის უვნებლობასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვასთან და ა.შ., ისინი ნაკლებად მოთხოვნილია¹⁴.

ინფორმაციის გადაცემა როგორც საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ოფისებში, ისე სოფლებში ვიზიტების დროს ხდება. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მემორანდუმი გააფორმა იუსტიციის სამინისტროსთან და სამსახურების წარმომადგენლები მის დაქვემდებარებაში არსებულ 36 საზოგადოებრივ ცენტრს ორ კვირაში ერთხელ სტუმრობენ ფერმერებთან შესახვედრად და ინფორმაციის გასავრცელებლად.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია სამსახურებს საბაზრო საინფორმაციო სისტემის (Market Information System) განვითარებაში ეხმარება. ამ მიზნით 2015 წლის ნოემბერსა და 2016 წლის მაისის შუალედში ქობულეთის, ამბროლაურის, ზუგდიდის, ზესტაფონისა და ახალციხის სამსახურებს საბაზრო ფასების მოძიებისა და ანალიზის მეთოდოლოგიაში ჩაუტარდა ტრენინგი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ადგილობრივ თვითმმართველობებს სთავაზობს, ეს ინფორმაცია გამგეობების შენობებში არსებულ მონიტორებზე გაუშვან¹⁵. თუმცა, დაუზუსტებელია, რამდენ და რომელ თვითმმართველობაში არის ეს ინფორმაცია მონიტორებზე ხელმისაწვდომი, რამდენი ადამიანი ეცნობა მათ და იყენებს თუ არა. უკეთესი მდგომარეობაა აჭარაში, სადაც სამსახურები საბაზრო ფასებსა და ექსტენციასზე ინფორმაციას მათს ბაზაში რეგისტრირებულ, დაახლოებით, 10,000 ფერმერს ტელეფონზე მოკლე ტექსტური შეტყობინებით უგზავნიან¹⁶. თუმცა, კომუნიკაციის ამ საშუალების ეფექტურობა არ არის შეფასებული და, შესაბამისად, უცნობია, თუ რამდენად იყენებენ ფერმერები მიღებულ ინ-

¹¹ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრების მიმოხილვა და შეფასება, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, 2014 წლის აპრილი, გვ. 8.
¹² ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსთან, შალვა კერესელიძესთან.
¹³ ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსთან, შალვა კერესელიძესთან. დეპარტამენტში არსებული სტატისტიკის თანახმად 2013 წელს სამსახურებმა დაახლოებით 35,000 ადამიანს მიანოდეს ინფორმაცია, 2014 წელს – 50,000 და 2015 წელს 58,000.
¹⁴ ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსთან, შალვა კერესელიძესთან.
¹⁵ ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსთან, შალვა კერესელიძესთან.
¹⁶ ინტერვიუ გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური განვითარების გუნდის ლიდერ გიორგი ნანობაშვილთან. 2016 წლის 14 სექტემბერი.

ფორმაციას. გასათვალისწინებელია, რომ ფერმერები, ასევე, არ ფლობენ ინფორმაციას სახელმწიფო შესყიდვებზე, მაგრამ ამ სახის ინფორმაციის შეგროვება¹⁷ და გავრცელება არ წარმოადგენს საბაზრო საინფორმაციო სისტემის ნაწილს.

მწირი ბიუჯეტის გამო სამსახურებს ფერმერებისთვის პრაქტიკული სწავლების ჩატარებაც უჭირთ. ამიტომ ხშირად სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებულ სადემონსტრაციო პროექტების დახმარების იმედად არიან. სამსახურები ადგილობრივი წარმატებული ფერმერების ნაკვეთებსაც იყენებენ პრაქტიკული სწავლებისთვის – სათბურების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის, ახალი კულტურების სადემონსტრაციოდ¹⁸. თუმცა, ეს საქმიანობაც სპონტანურია და მუნიციპალიტეტების მთელ ტერიტორიაზე არ ვრცელდება.

ამ ეტაპისთვის არ არსებობს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მიღებული ინფორმაციით/მომსახურებით ფერმერების კმაყოფილების შემოწმება. შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რა პრობლემები აქვთ სამსახურებს და როგორ შეიძლება მათი გამოსწორება. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჭირს სამსახურების გაძლიერების ხედვაზე საუბარი.

ამ ეტაპზე თანამშრომლებისთვის ჩატარებული ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები დიდ წილად დონორი ორგანიზაციების შეთავაზებაზეა დამოკიდებული. რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტი სამსახურებისგან აგროვებს ინფორმაციას მათ საჭიროებებზე, რომლებიც უფრო ხშირად დარგობრივ საკითხებზე ტრენინგების ჩატარებისკენაა მიმართული, მაგრამ რთულია იმის გარკვევა, ეს საჭიროებები მართლა არსებობს თუ მხოლოდ სუბიექტურად აღიქმება ასე (felt needs). შემუშავების პროცესშია ექსტენციის სტრატეგია, რომელიც ამ საკითხებსაც გაითვალისწინებს¹⁹. თუმცა, დაარსებიდან დღემდე სამსახურების საქმიანობა უფრო სპონტანურია და არ ეყრდნობა გრძელვადიან ხედვას.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში საშტატო და არა-საშტატო პოზიციებზე 300-ზე მეტი თანამშრომელია დასაქმებული. ცენტრი დაკომპლექტებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებით. სხვადასხვა პროდუქტის აგრონარმოებაზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე²⁰, რომელიც კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საშუალებაა. აქ სულ 32 ბროშურაა ხელმისაწვდომი. თუმცა, ცენტრი არ აწარმოებს სტატისტიკას იმის შესახებ, თუ რამდენმა უნიკალურმა მომხმარებელმა ნახა ინფორმაცია. შესაბამისად, უცნობია, თუ რამდენად ეფექტურია ვებგვერდის კომუნიკაციის საშუალებად გამოყენება. ხშირად საინფორმაციო მასალები საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით ვრცელდება. 2014 წლიდან, ანუ ცენტრის შექმნიდან 2016 წლამდე ბროშურების დაახლოებით 200,000 ეგზემპლარია დაბეჭდილი და სამსახურების დახმარებით ფერმერებში გავრცელებული. თუმცა, ვინაიდან არ არის შესწავლილი ფერმერების აზრი, ცენტრი არ არის ინფორმირებული, თუ რამდენად საინტერესო და საჭირო ინფორმაციას შეიცავს ბროშურები და როგორ შეიძლება მათი შემდგომი გაუმჯობესება.

¹⁷ საქართველოს ფერმერთა II კონგრესი.

¹⁸ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო და საკონსულტაციო სერვისების, სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრების მიმოხილვა და შეფასება, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გვ. 10.

¹⁹ ინტერვიუ რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსთან, შალვა კერესელიძესთან.

²⁰ srca.gov.ge

დასკვნები

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებისთვის ცოდნისა და ინფორმაციის გადაცემის ეფექტური სისტემის შექმნა ამ სფეროს განვითარების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. შესაბამისად, ექსტენციის სისტემის განვითარების საკითხები ასახულია როგორც ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, ისე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასა და სამოქმედო გეგმაში. ამ მიზნის მისაღწევად სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილია ორი სტრუქტურა – საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც არსებობს და ისინი შეიძლება შემდეგ ნაწილებად დაიყოს:

1. არ არსებობს ექსტენციის სისტემის განვითარების ხედვა. ამისთვის გამოყოფილი ადამიანური და ფინანსური რესურსი არ არის საკმარისი ფართომასშტაბიანი ეფექტის მოსახდენად. ექსტენციის სტრატეგია შემუშავების პროცესშია, მაგრამ მოსაკვლევი, რამდენად არის ეს საკითხები გათვალისწინებული;
2. არ არსებობს უკუკავშირის მექანიზმები, რომლების შესაბამის ორგანიზაციებს ინფორმაციის მოხმარებისა და ხარისხის დადგენის შესაძლებლობას მისცემდნენ;
3. დაბალია კომუნიკაციის მექანიზმების ეფექტურობა და ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას შორის კოორდინაცია.

მიუხედავად დონორების დახმარებისა და სახელმწიფოს პოლიტიკისა, რომელიც მნიშვნელოვან აქცენტს ინფორმაციის გადაცემაზე აკეთებს, ამ საკითხების გადაჭრა ვერ მოხერხდება და ფერმერებსა და კოოპერატივებს მათთვის საინტერესო ინფორმაციაზე ხელი კვლავ არ მიუწვდებათ.

რეკომენდაციები

მცირე ფერმერებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში ინფორმაციისა და ცოდნის უფრო ეფექტურად გავრცელების მიზნით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ექსტენციის სტრატეგიაში დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების გათვალისწინება. არასათანადო კვალიფიკაციის, კადრების ნაკლებობის ან შეზღუდული ფინანსური რესურსების შემთხვევაში ეფექტი კვლავ დაბალი დარჩება;
- საჭიროა მუნიციპალიტეტების მასშტაბით კომუნიკაციის იმ არხების გარკვევა, რომლებსაც ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ და ინფორმაციის ამ არხების საშუალებით გავრცელება;
- საჭიროა უკუკავშირის მექანიზმების არსებობა, რაც სახელმწიფო ორგანოებს არსებული ინფორმაციისა და სერვისების ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას მისცემს;
- მნიშვნელოვანია არსებობდეს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების განვითარების, მათ შორის, მათი უნარების გაძლიერების გრძელვადიანი ხედვა, რომელიც დონორების მხრიდან ამჟამად სპონტანურ დახმარებას უფრო ეფექტურს გახდის.